ლექცია 2

ქართული ხელოვნება ანტიკურ პერიოდში

ძვ. წ. VI-V სს. შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო იონელი ბერძნების ყურადღების ცენტრში ექცევა. ბერძნული ახალშენები: ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), პიტიუნტი (ბიჭვინთა) დაარსდნენ ყველაზე მარჯვე ადგილებში. ბერძნებს ამოძრავებდათ სავაჭრო ინტერესები, მათ საქართველოდან გასქონდათ ადგილობრივი მასალები და შემოჰქონდათ თავისი ხელოსნობისა და ხელოვნების ნაწარმოებები.

ძვ.წ. VI სს. ბოლოს საქართველოს სამხრეთის რაიონებში დაიმორჩილეს აქემენიდებმა, ჩრდილო ოლქები კი არ ცნობდნენ მათ ხელისუფლებას.

ძვ.წ.II საუკუნიდან იწყება რომის იმპერიის ექსპანსია აღმოსავლეთით. მთელი ეს პერიოდი ასახულია წერილობით წყაროებში: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, პლინიუსი, დონკასიუსი. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით საქართველოში ელინისტურ ხანაში არსებობდნენ მნიშვნელოვანი ქალაქები: მცხეთა (არმაზი), ვანი, გორი, კასპი, სარკინეთი, ნოქალაქევი, უფლისციხე.

საქართველოს საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეს ძვ.წ. I საუკუნესა და ახ.წ. დასაწყისში გვიხატავენ ვანის არმაზისხევის, გორის სამთავროს გათხრები ყოფის საგნების და სამკაულების მიხედვით. სამარხთა ინვენტარი გვიჩვენებს მოხატულობის მიხედვით მაღალი და საშუალო ფენების არსებობას. ფენები ფლობდნენ ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭელს, ოქროს სამკაულებს და ბეჭდებს პორტრეტული გემებით და სხვა ძვირფასი ქვებით, ბრინჯაოს და რკინის იარაღს და მინის ჭურჭელს. კულტურული დონის მაჩვენებელია, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ასევე ახ.წ. I საუკუნეს ეკუთვნის. საქალაქო ცხოვრების განვითარება არქიტექტური აყვავებას ხელს უწყობდა. საზოგადოების

სოციალური დაყოფის შედეგად საცხოვრებელი სახლების განსხვავებული ტიპები იქმნება, ადმინსტრაციული და საზოგადოებრივი შენობები, სასახლეები, ჩნდება აბანოები (არმაზის ხევი, ბაგინეთი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, ძალისა) განსაკუთრებული ადგილი საკულტო ნაგებობეს ეკავა. ტაძრები შენდებოდა მაღლობზე, გამოჩენილ ადგილას (ვანი). ასევე უდიდესი ყურადღება ეთმობოდა თავდაცვით ნაგებობებს. ქალაქები გამარგებული იყო მძლავრი თავდაცვითი კედლებიტ და კოშკებით, საფორტიფიკაციო ხელოვნების წესების დაცვით (არმაზის ციხე, ურბნისი), ასევე, წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებით (ნოქალაქევი, ძალისა). სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია სამარხებზეც აისახა, ფართო ფენების მარტივი - კრამიტის, აგურის, პიტიახშების (ერისთავები) სარკოფაგები და აკლდამები.

სამშენებლო მასალა: მახლობელ კარიერებიდან მოზიდულ ქვას ხმარობდნენ. ძვ.წ. IV სს შემდეგ როგორც საფუძველი კვადრატული წყობა ვრცელდებოდა, რომელიც კელდების ქვეშ ლაგდებოდა და იქმნებოდა დამოუკიდებლად (მერცხლის კუდი), ხის ან ლითონის სამაგრეებით. კირის დუღაბის გამოყენება დაიწყეს ძვ.წ.III საუკუნიდან, განსაკუთრებით გავრცელდა ქვის საფუძველზე ალიზის აგურისაგან ამოყვანილი კელდები.

ქალაქების მშენებლობისას უპირატესობა მთის კალთებს ან პლატოს ბორცვებს ენიჭებოდა. ქალაი გაშენებული იყო გაბატონებულ მაღლობზე, რომელსაც ჰქონდა ბუნებრივი ზღუდეები ხევების ან მდინარეების სახით, ზოგჯერ ქალაქს გარშემორტყმული ჰქონდა ხელოვნური არხები (უფლისციხე, ურბნისი). ქალაქს სოფლიდან განასხვავებდნენ მისი კელდების შემოზღუდვით. ქალაქში ყიო საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობები, ქალაქური სახლები და სავაჭრო ადგილები - ქულბაქები. ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ჩვეულებრივ ხდება ქუჩების მოკირწყვლა. ცნობილია სტაბონის ცნობა იბერიის ქალაქების მშენებლობაზე (ქალაქები არქიტექტურული ხელოვნების წესების შესაბამისად შენდებოდა).

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი საფლავის ქვის ეპიტაფია - ავრელი აქოპოსი, რომელიც იყო არქიოგრაფი და არქიტექტორი და ეს ძეგლი ჩვ.წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება.

ქალაქის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო შიდა ციხე (აკროპოლისი), მისი ერთი ან ორი მხარე კლდოვან პლატოს ემყარებოდა, ხოლო დანარჩენი ქალაქისკენ იყო მიმართული (არმაზისხევი, ნოქალაქევი, შორაპანი, დმანისი).

იბერიის სამეფო დედაქალაქი მცხეთა (დიდი მცხეთა) სადაც შედიოდა არმაზციხე, არმაზის ხევი, სარკინეთი, წიწამური და ნაქულბაქევი.

არმაზციხე (ბაგინეთი)

მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მაღალ ბორცვებზეა განლაგებული. არმაზციხი ნაგებობანი იქმნდებოდა ძვ.წ. V-III დან და ადრე შუა საუკენეებამდე იარსება. კედლები აგებულია ალიზისგან, კლდეში ჩასმული ქვების საფუძველზე, გამაგრებულია კონტრაფორსებით და ზღუდეებით. ყოველ 50 მეტრში კედლებს ახლავს ოთხკუთხა კოშკები. ეს ზღუდეები ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება, მომდევნო ხანის კედლები ახ.წ. I საუკუნეში არის ამოყვანილი. არმაზის ქვედა ტერასაზე გაშლილია შენობათა კომპლექსი, რომლის ცენტრში დიდი ზომის ანტებიანი შველირებით ოთხკუთხა დარბაზია. დარბაზის გრძივ ღერძზე 6 სვეტია განლაგებული, ხის ღეროთი და ქვის ბაზის - კაპიტელებით, ცენტრში განიერი შესასვლელით. ამავე ტერასაზე ნაპოვნია კორინთული სვეტის თავი, სვეტების ბაზისები, კესონური პლაფონის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩენილია მცირე ზომის აბანო და ორი აკლდამა (მეფის ასულის სამარხ სარკოფაგი მდიდარი ინევენტარით). არმაზციხეს თავდაცვითი ზღუდეების ანალოგიური კედლები გამოვლენილია გორში, სარკინეთში და წიწამურში. გორის დასავლეთით მდებარეობს

ნაქალაქარი ურბნისი, როგორც გორი შეიქმნა ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, რომელიც ამავე ტექნოლოგიითა აგებული მტკვრის ნაპირას ბორცვებზე აღმოჩენილი შიდა ციხე, რომელიც ახ.წ. I საუკუნეში გაიზარდა, მშენებლებმა შეცვალეს ზღუდეთა კონფიგურაცია, 4-5 მეტრი სისქის კედლებით და გაამაგრეს მძლავრი კოშკებით.

უფლისციხე

ძველ ქართულ არქიტექტურაში განსაკუთრებული ადგილი კლდეში ნაკვეთ ქალაქს - უფლისციხეს უკავია, მოიცავს 9,5 ჰექტარს, დასახლებული ყოფილა ძვ.წ. III ათასწლეულში. დაგეგმარების სტრუქტურა და ძირითადი ნაგებობები ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიეკუთვნება. ქალაქს სამი შესასვლელი ჰქონდა, დასავლეთის გზა კლდეშია გაკაფული, აღნოსავლეთით მიჰყვება ქედს, ჩრდილოეთის მხარეს გაჭრილია 60 მერტის სიგრძის კლდეკარი, ასევე ქალაქს საუდუმლო გვირაბი ჰქონდა. სამხრეთის კლდეკარიდან იწყება ქალაქის მთავარი ქუჩა, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. გვერდებიდან მრავალი ვიწრო ქუჩა გადის, სადაც განლაგებული იყო დარბაზები და სხვა ნაგებობები. დარბაზების უმეტესობას ახასიატებს დაგეგმარების მკაფიო სისტემა - წინ მცირე ზომის ეზო, ორივე მხარე განლაგებული ქვაბულებით. ეზოში კამაროვანი ან ბრტყელი კარიბჭე გამოდის, სამხრეთის შესასვლელთან ჩრდილოეთის მიმართულებით, მთავარი კოშკის ზემოთ წარმართული ხანის ტაძრის ანსაბლია, ასევე, გვედრიგვერდ გამოკვეთილია ტაძრები წინ ეზოთი, სადაც ვხვდებით დიდ ჭერახდილ დარბაზს, რომლის უკან სათავსოებია. ეს ტაძრები გვიან ანტიკური ხანით არის დათარიღებული. ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარეობს მთავარი ტაძარი. გეგმით თითქმის კვადრატული ფორმისაა, სამივე მხრიდან მცირე ოთახები ეკვრის, ხოლო წინა მხარეს არის ეზო. ჭერზე შემორჩენილია ბრტყელი დეკორატიული ელემენტები - ძელური გადახურვის იმიტაციით. დარბაზის ჭერზე გამოკვეთილია ცილინდრული ფორმის სარკმელი. მნიშვნელოვანია დასავლეთ კლდეზე განლაგებული კომპლექსები.

ცენტრალური დარბაზი სამხრეთისაკენ ღიაა, გადახურულია ნახევარწრიული კამარით, შემკულია ფრონტონით, შიგნიტ კამარა გაფორმებულია 8 წახნაგა კესონებით. ანალოგიებს ვხვდებით ანტიკური რომის არქიტექტურულ მორთულობაში. ზოგიერთი მკვლევარი ამ დარბაზს „თეარტონად“ თვლის. ახ.წ. IV საუკუნიდან უფლისციხე კარგავს საქალაქო ცენტის იერს და მოხოლდ ციხედ, რელიგიურ ცენტრად რჩება. მე-9 საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის პროცესში უფლისციხე მონაწილე ძალების დასაყრდენი ხდება.

სამადლოს მთაზე და ნასტაგისის ველზე ელინისტური პერიოდის ნაქალაქარია აღმოჩენილი. ადრე ანტიკურ პერიოდში სამადლოს ბორცვებზე ძველი სამლოცველოს ნანგრევებზე აგებული იყო ცეცხლის კოშკურა. ტაძარი კვარდატული შენობაა და ძვ.წ. VI-IV საუკენეებით თარიღდება. სამადლოსათვის დამახასიათებელია ტერასის დაგეგმარება. ელინისტური დროის მშენებლობა ხელოვნურ ტერასებზე საყრდენი კელდებით ხორციელდებოდა.

კავთისხევთან ნაგებობათა კომპლექსი ციხე გორი აღმოაჩინეს. ეს კომპლექსი ძვ.წ. IV-XI საუკენეებით თარიღდება. არსებობს მოსაძრება, რომ იგი ცეცხლის ტაძარია, რომელიც სამადლოში და დედოფლის მინდორზე აღმოჩენილ ტაძრებთან ერთად აქემენიდურ სამყაროს უკავშირდება.

დედოფლის მინდვრის კომპლექსი

ქარელის რაიონში აღმოჩენილია გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი - დედოფლის მინდორი. კომპლექსის ძირითად ბირთვს ცენტრალური კვადრატული ეზო წარმოადგენს, რომლის ოთხივე მხარეს ცენტრალურ გეგმაში ტაძრები და სამლოცველოებია აგებული. სამხრეთის მხარეს განთავსებულია მთავარი ტაძარი, კვადრატული ეზოებით. მთავარი თემაა კვარდატული ოთხსვეტიანი დარბაზი, ოთხსვეტიანი კარიბჭით. დარბაზში სვეტებს შორის მოწყობილი იყო საკურთხეველი. ცელის (დარბაზი) და კარიბჭის სვეტების ხის შეწყვილებულ, ხის ბაზისებზე შემდგარ საყრდენს წარმოადგენს.

მთავარ ტაძარს ებმის მცირე ზომის გახსნილი ორსვეტიანი სამლოცველო, სვეტები აქაც ხისგანაა. ასევე, ქვის სვეტისტავები ლოტოსის გაშლილი ყვავილის სახით არის, ხოლო აბაკა შემკულია ვარდულების წნულით. ცენტრალურ ეზოს ჩრდილოეთ მხარეს გამართულია მცირე ტაძარი, აქვე, 6 ერთნაერი ტაძარია განლაგებული. ეს კომპლექსი თარიღდება ძვ.წ. I და ახალი.წ. I საუკუნით და უკავშირდება ნაყოფიერების იდეას, ხოლო არქიტექტურაში „ცეცხლის“ ტაძრების ელემენტებია გამოკვეთილი.

ნაქალაქარი ვანი

ნაქალაქარი ვანი სამ ტერასაზე იყო განლაგებული და მძლავრი დამცავი გალავნითა და კოშკებით იყო შემოსაზღვრული. ზვ.წ.III საუკუნის რკინის კარიბჭის შიგნით განლაგებულია ეზო, სადაც ქალღმერთის ქანდაკების მარმარილოს კვარცხლბეკია შემორჩენილი. შესასვლელთან ახლოს აგებული იყო პატარა ტაძარი - საკურთხეველი. ქვედა ტერასაზე დიდი ზომის სატაძრო კომპლექსია. კვადრატული ტიპის დარბაზი - ცელა, რომლის ირგვლივ სარიტუალო ცერემონიების მოედნები გამოპიკვეთა. თვით დარბაზში მიკვლეულია ქვის მონოლითური საკურთხეველი და სვეტების ორი ბაზისი. ცენტრალური ტერასის ცენტრალურ ნაწილში რთული არქიტექტურული კომპლექსია განლაგებული. აქ სახეზეა ტაძარი მოზაიკური იატაკით და ქვის საკურთხევლით, რომლის ირგვლივ ბრინჯაოს ჭურჭელი, შემკული არწივებითა და გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს ქანდაკება აღმოჩნდა. ასევე, დიონისეს წრის პერსონაჟების გორელიეფები (არიანა, სატირი, მენანდრე). როგორც ჩანს, ტაძარი მეღვინეობის ღმერთისადმი იყო მიძღვნილი. ტაძრის დასავლეთით აღმოჩნდა სწორკუთხა ფორმის შენობათა ნანგრევები და მათთან დაკავშირებული ტერაკოტული ნიღბები და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები. მოზაიკურ იატაკიანი ტაძარს ჩრდილოეთით ემიჯნება მონუმენტური საფეხურებიანი საკუთხეველი. აქვე აღმოჩნდა სვეტის ქვის ბაზისი და ორი მშვენიერი სვეტისთავი, რომელთაგან ერთზე ქალღმერთია გამოსახული, ხოლო მეორეზე

აკანთისა და პალმის ფოთლებით, რელიეფური ვარდულები. ცენტრალური ტერასის ჩრდილოეთით მხარეს აღმოჩნდა „მრგვალი ტაძარი“, იქვე ძვ.წ. II-I საუკუნეებში ყოფილა საკულტო შენობა. აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებულია საფეხურებიანი ნაგებობა საკურთხეველი, რომელსაც 6 სწორკუთხოვანი და ამდენივე წრიული საფეხური ჰქონდა. ვანის სიმები ლომების გამოსახულებით წარმოადგენენ ტაძრის ტიპის კარნიზის ელემენტს და ბერძნული არქიტექტურის მოტივების აშკარად გავლენას გვიჩვენებენ. ისინი უახლოვდებიან ძვ.წ. III-II საუკუნეების ელინისტური ქანდაკების ნიმუშებს, ასევე მათში აღმოსავლური ხელოვნების ელემენტებიც ვლინდება. კერძოდ, სირიულ ხეთური ტრადიციები. ბორცვის მწვერვალზე ძვ.წ.III-I საუკუნეებში დიდი საკურთხეველი იყო. ვანის ნაქალაქარის არქიტექტურულ ნაგებობათა მიხედვით ირკვევა, რომ ადგილობრივები ელინისტურ არქიტექტურას კარგად იცნობდნენ, ხოლო გავლენა თავს იჩენს მხოლოდ სამშენებლო ტექნიკასა და ხერხებში, არქიტექტურულ დეკორში, ხოლო დაგეგმარების და დანიშნულების თვალსაზრისით, იგი სრულად განსხვავდება. ძვ.წ. III-I საუკუნეებში ვანი სატაძრო ქალაქად იქცა.

ბიჭვინთა

ბიჭვინთა - „დიდი პიტიუნტი“ არსებობდა ძვ.წ. II საუკუნეში. ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. დასავლეთის ნაწილი გეგმით წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენდა, აღმოსავლეთით - რკალისებური მოხაზულობის იყო. წყაროების მიხედვიტ აქ იდგა რომალეთა გარნიზონი და ციხე - კასტელიუმი აშენდა. არსებობდა გალავანი კედლის კუთხური კოშკებით, მთავარი ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული იყო საცხოვრებელი შენობები, სახელოსნოები, აბანოები და სხვა ნაგებობები, რომლებიც ახ.წ. I საუკუნეს, ხოლო ზედა ფენა მე-4 საუკუნეს მიეკუთვნება. რომაული აბანო (მე-3 და მე-4 საუკუნეებს მიეკუთვნება. შედგება 5 განყოფილებისაგან (ცივი, თბილი, ცხელი, გასახდელი და ა.შ). იატაკი კერამიკული ფილებით

არის მოფენილი, მის ქვეშ დაბალი სვეტების კალორიფერებია მოწყობილი. ეს აბანო რომაული აბანოების პრინციპებზეა აგებული.

არმაზისხევი, ქართველ პიტიახშთა - ერისთავთა რეზიდენცია

პირველ და მე-3 საუკენეების ძეგლებს შორის აღსანიშნავია არმაზისხევის ქართველ პიტიახშთა-ერისთავთა რეზიდენცია. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე აქ მოზრდილი, ოთხკუთხა გეგმის დარბაზის ნაშთები აღმოჩნდა. შენობის ფრაგმენტები სასახლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან. მაგალითად: კარის თავანი და კარნიზი დამუშავებულია პროფილეებით და კბილანებით, ჩუქურთმებიანი (კორინთული სვეტისთავი) და სვეტის ბაზისი, დეტალურად დამუშავებული მეტად შთამბვეჭდავია. წარმოდგენას გვიქმნის წარჩინებულთა წრის სასახლეზე. არმაზისხევში გათხრილი სამარხი - სარკოფაგების ინვენტარის მიხედვით უცლობლად დავასკვნით, რომ აქ მაღალი წრის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. იქვე ახლოს მდებარეობს აბანო, ერთ ხაზზე განლაგებული ხუტი განყოფილებით. აბანოს სასახლის მსგავსად კრამიტით ოყო გადახურული და წარმოადგენდა იბერიის ერისთავთა რეზიდენციის ახ.წ.III საუკუნის შემადგენელ ელემენტს.

მცხეთის აკლდამა

მცეთასთან აღმოჩენილი აკლდამა ამოჭრილ ოთხკუთხა ქვაბულშია აგებული. შესასვლელი აღმოსავლეთის ფასადურ კლდეშია. იატაკი ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას და მარტივ კვლავგარდიანი ფრონტონით დასრულებულია. საყურადღებოა რომ ლავგარდიანის ქვედა კუთხეები, ტიმპანი და კედლების ზედა ნაწილები ერთ კვარდატშია გამოკვეთილი. მცხეთის აკლდამა შედის ანტიკური ძეგლების წრეში, მაგრამ ასევე, აქ სახეზეა თავისთავადი ნიშნები. ფასადის გადაწყვეტა ორგინალურია, ფრონტონს არ აქვს ფორიზონტალური კარნიზი, რაც ბერძნულ და რომაულ არქიტექტურაში იშვიათია, ხოლო შუა საუკუნეების ყველა ქართული ძეგლისათვის დამახასიათებელია. წყაროში არ ჩანს კლასიკური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მკაცრი სისტემა. აკლდამა

აგებულია ახ.წ. პირველ საუკუნის ბოლო მეოთხედში. ანტიკური პერიოდის ქართულ არქიტექტურას სისადავე და ორგანულობა ახასიათებს, მასების განაწილებისა და საერთო ორგანიზაციის საფუძველს ჰქმნის, სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც ხშირად კვარდატს უახლოვდება. შენობები გამოირჩევა მარტივი პროპორციებით. შენობათა კომპოზიცია სიმეტრიის ძირითად რერძს ექვემდებარება, რომელიც მათ ფრონტალობას ავლენს, ხაზგასმული ფასადით. შესასვლელი წარმოადგენს ფასადის (სამხრეთით) კომპოზიციურ ცენტრს, სვეტები რითმულად არის ერთნაირ მანძილზე განაწილებული. თავისი ზომებით, წყობით და სტილით ჩანს, რომ ძველი ქართული კულტურა მჭიდროდ ძველ აღმოსავლეთის კულტურასთან ურთიერთობდა, ასევე, ქართული კულტურის ზოგიერთი ხერხები გარკვეულ კონტაქტებს წინა აზიის ხალხების კულტურასთან ავლენდნენ.

ძალისა

ძალისა - ნაქალაქარი გათლილი ქვებით ნაგები, მსხვილ შენობათა ნაშთებია შემორჩენილი, ასევე, ქვის ბაზისები და სვეტის თავები. კარგად შემორჩენილია აბანო, რომელიც სასახლის კომპლექსში შედიოდა. რომაული ტიპის აბანო სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: ცივი, თბილი და ცხელი. აბანოების მომიჯნავე გასახდელის იატაკები დაფარულია მოზაიკით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზაიკური იატაკი „დიონისეს სახლში“ რომელიც გასახდელს უკავშირდება. აბანო აგებულია ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში. იქვე მეორე დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების აბანოა აღმოჩენილი, რომელიც რამდენიმე ნაწილისსგან შედგებოდა. აქვე აღმოჩენილია სატაძრო ნაწილიც. დიდ ნაგებობას ძალისაში წარმოადგენს სასახლე (2500 კვ.მ), 30 მეტი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ოთახი, რომელთა ცენტრში განთავსებული იყო ეზო ატრიუმი. აქვე, ქვის შადრევნის კვალი შეიმჩნევა. სადგომთა შორის დარბაზი გამოიყოფა, საძინებელი ოთახები და ორგანყოფილებიანი საპირფარეშო, საკუთარი

წყალსადენითა და კანალიზაციით. სასახლეს ცენტრალური გათბობის სისტემის ცალკე მდგარი შენობა ჰქონდა. აბანოს გვერდით საქართველოში პირველი საცურაო აუზი აღმოჩნდა. იგი გეგმაში სწორკუთხედ ფორმას წარმოადგენდა და ოთხივე მხარეს ახლავს ნახევარწრიული აფსიდები. საცურაო აუზს სამხრეთიდან კიდევ ერთი დიდი ნაგებობა მიშენებული აქვს, რომელსაც დარბაზი ჰქონდა. ძალისას კომპლექსი თავისი შენობების მიხედვით, დიდი მაღალი რანგის მოხელის რეზიდენციას წარმოაგდენს (ჩვ.წ. IV-V სს).

ქართული ხელოვნების კავშირი აღმოსავლეთის ტრადიციებთან ყოფისა და მორთულობის საგნებში, მითოლოგიაში, ენობრივ მასალაში, დამწერლობასა და ტოპონიმიკაში ვლინდება. ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი, ხარის შეწირულობით, რქებიანი საკურთხევლები თრიალეთიდან, ურბნისის კერები, ორნამენტის ცალკეული ფრაგმენტები - საქართველოს და ეგეოსის სამყაროს რელიგიურ წარმოდგენებისა და კულტურის გარკვეულ მსგავსებაზე მიგვითითებს, რომელიც ისტორიულად, ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან ყალიბდებოდა.

საქართველოოს არ აცდა ელინისტური კულტურის გავლენაც, ჩნდება სვეტები - დორიული, იონური და კორინთული სვეტისთავებით. კოლხეთში ეს ჩანს სატაძრო ნაგებობათა კონსტრუქციულ ელემენტებში, არქიტექტურულ ფორმებსა და დეკორში (ვანი), ხოლო იბერიაში ძირითადად კრამიტის გავრცელებაში გამოიხატა და ნაგებობათა ორკალთიან სახურავებში.

ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ხელოვნება ძირითადად კერამიკით არის წარმოდგენილი, რომლის ნაწილი შემოტანილია. ეს შავკლაკნიანი მოხატული ჭურჭელი (სხვადასხვა ფორმის), შემკული გრავირებით ან ტვიფრით შესრულებული ორნამენტით და მეორე ნაწილი მოხატული - ქვევრები ქოთნები და სასმისები.

იბერიისა და რომის ურთიერთობის მნიშვნელოვანი თვალსაჩინოება სამკაულებსა და ყოფის საგნებში ჩანს (პირველი - მე-

3 საუკუნეები), ვერხლის ჭურჭელი, გემმები ანტიკური სიუჟეტებით მოხატული და სხვ. რომის მხატვრულ გემოვნებას ასახავენ უფლისციხის დარბაზები (კესონურად დამუშავებული პლაფონები).

საქართველოში ელინისტურ ხანაში არსებობდნენ მნიშვნელოვანი ქალაქები, რომელთა ცხოვრების მაღალ დონეს ძვ.წ პირველ ათასწლეულის ბოლოსა და ახ.წ. დასაწყისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭლის შესანიშნავი ნიმუშები, ოქროს სამკაულები, ოქროს ბეჭდები პორტრეტული გემებით, მარგალიტებით შემკული საყურეები, აჟურული ყელსაბამები და დიადემები, გულსაკიდებიდა ქამრის ბალთები, მოოჭვილი პატიოსანი ქვებით, დამუშავებული გავარსით, გრეხილითა და წნულით, ბრინჯაოს და რკინის იარაღები, მოხდენილი მინის ჭურჭელი და სხვა. გვისაბუთებენ, მეტალურგიის როგორც ხელოვნების (ტორევტიკა ჭედურობა) და მნის წარმოების საქართველოში განსაკუთრებულ აყვავებას.